

# ხაზინა ჯერ არ დაცარიელებულა

## გურგენიძე მოდერნიზებული ბენდუქიძეა

გაზეთი “ახალი თაობა”, 3 იანვარი, № 1, 2008

### ინტერვიუ დეპუტატ ლადო პაპავასთან

- ბატონო ლადო, რატომ გამოიწვია წინასაარჩევნო დაპირებებმა ასეთი დიდი აზრთა სხვადასხვაობა და ეკონომისტების უარყოფითი შეფასებები?
- წინასაარჩევნო დაპირებების შეჯიბრება ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ადგილი გვაქვს საარჩევნო კამპანიასთან. მაგრამ ეს რიგბარეშე საპრეზიდენტო არჩევნები არის სწორედ სოციალურად ორიენტირებული. სხვათაშორის, მისთვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ეს არის მოხეილ სააკაშვილის დამსახურება. ეს პირველად შენიშნა ფსიქოლოგმა რამაზ საყვარელიძემ. მან აღნიშნა კიდევ ასეთი რამ, რომ ნოემბრის აქციებს უმთავრეს ლაიტმოტივად გასდევდა არა სოციალური პრობლემები, არამედ სამართლიანობა, შელახული დირსება, სამართლიანი არჩევნები, პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ეს იყო მთავარი მამოძრავებელი, ანუ არცერთი სოციალური მოთხოვნა მაშინ არ იყო. ამ დროს საპრეზიდენტო არჩევნები მიდის სოციალური თემატიკით. უბრალოდ ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში მყოფმა სააკაშვილმა პიარის მეთოდების გამოყენებით შეცვალა ვექტორი დაპირისპირების თემისა, გადაიყვანა ის სოციალურ კონტექსტში და თვითონ დაიწყო სოციალური პროგრამების განხორციელება ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში. ხოლო როცა გადადგა, მისმა მთავრობამ ეს სოციალური ვექტორი გააგრძელა, უკვე პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებების რეალიზაციით. ეს არის მთავარი, რატომ მიიღო ამ დაპირებებმა სოციალური ორიენტაცია. როცა გყავს მემარცხენე თრიენტაციის პარტია, მე ვგულისხმობ ლეიბორისტებს, შალვა ნათელაშვილს, როგორც იტყვიან, სოციალური თემატიკა მათი პურია, იმიტომ, რომ ლეიბორისტები ყოველთვის სოციალურად ორიენტირებული

პლატფორმით მოდიოდნენ. ამიტომ, ყველაზე უფრო თანამიმდევრულები, უნდა ითქვას, ლეიბორისტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემი მენტალიტეტით, ძალიან შორს ვარ ლეიბორისტული პარტიის ფასეულობებისგან, უნდა ვაღიაროთ, რომ საერთოდ ყველაზე თანამიმდევრული პარტია წლების განმავლობაში და არამარტო ამ საარჩევნო კამპანიაში არის ლეიბორისტული პარტია. მაგრამ სააკაშვილის მიერ აღებულმა ამ სოციალურმა ორიენტაციამ, იმ გამოწვევამ, რომელიც რა თქმა უნდა, სიამოვნებით აიტაცა შალვა ნათელაშვილმა, ამას აჟყვნენ სხვა კანდიდატებიც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველაზე ნაკლებად სოციალური დაპირებები ისმის ლევან გაჩეჩილაძისგან. რადგანაც, როგორც აცხადებს, ის საქართველოს პრეზიდენტად 200 დღით მოდის. მას სურს შეცვალოს კონსტიტუციური მოდელი, უნდა ქვეყანა გადაიყვანოს საპარლამენტო რესპუბლიკაზე და აქედან გამომდინარე, მას რაიმე განსაკუთრებული სოციალური დაპირებები არც სჭირდება. მართალია, სოციალური დაპირებები მისი მხრიდანაც გაისმა, თუმცა მცირე დოზით. არ ვიცი რამდენად გამართლებულია ბადრი პატარკაციშვილზე საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ სააკაშვილის ეს სოციალური გამოწვევა მანაც მიიღო. უფრო მეტიც, თუ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები აქცენტს აკეთებდნენ ბიუჯეტის ხარჯებზე, პატარკაციშვილმა გადაიტანა საკუთარ ჯიბეზე. მე რა თქმა უნდა არ მინდა ქვეყანას ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც ხარჯებს გაიღებს არა ბიუჯეტიდან, არამედ საკუთარი ჯიბიდან. ჩემთვის ასეთი სახელმწიფო მიუღებელია. თუ ვინმეს შეხიდება უნდა, შეხიდებისთვის პრეზიდენტობა არ არის საჭირო. ჩვენს საზოგადოებას უპარ დიდი ხანია შეხიდებული ჰყავს ბიძინა ივანიშვილი, ჩვენს კულტურას, ჩვენს მეცნიერებას, ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას და ძალიან დიდ საქმეს აპეთებს. ახლა მთაწმინდის პანთეონი ძალიან დიდი საფრთხის წინაშე არის, იმიტომ, რომ იქ შეიძლება მთის ქანები ჩამოიშალოს. ბიძინა ივანიშვილი ამას აკეთებს აბსოლუტურად ჩუმად, შეხიდა სახელმწიფოს და უნდა გადაურჩინოს თბილისს და საქართველოს ეს უდიდესი ფასეულობა, როგორიც არის ჩვენი მთაწმინდის პანთეონი. ის აგრეთვე კულტურის და მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეებს ყოველთვიურად აძლევს გრანტს. ეს არის შეხიდება და ეს აბსოლუტურად ჩუმად კეთდება. შეხიდება თავისთვის ნამდვილად არ არის ცუდი, მაგრამ ამისთვის პრეზინდეტობა ნამდვილად სულაც არ არის საჭირო. მართალია, დღეს პატარკაციშვილის ამ განცხადებებზე საუბარი ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუმცა აქ ხაზი ერთ

რამესაც უნდა გაესვას: ბადრი პატარკაციშვილმა როცა განაცხადა, რომ ის აპირებს თავისი ქანდიდატურის მოხსნას, იმავდროულად თქვა, რომ თუ ოპოზიციური ლიდერი გაიმარჯვებსო, ჩემი დანაპირები ძალაში რჩებაო. მე ამასთან დაკავშირებით რა შემიძლია გითხრათ, ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც დახმარებას გაუწევს ერს, გაჭირვერბულ ხალხს და ფულს ჩადებს იმისათვის, რომ ქვეყანამ რაღაცნაირად ამოისუნთქოს, ეს სულაც არ არის ცუდი. აქ საუბარია იმაზე, რა რაოდენობის თანხები გავა მიმოქცევაში, იმიტომ რომ ასეთი დახმარებები განსაკუთრებით იმ ბიზნესმენისაგან, რომელიც ფულს არ შოულობს საქართველოში და შოულობს საზღვარგარეთ, ეს მაკროეკონომიკური თვალსაზრისით იგივეა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება: რადგან ძირითადი ბიზნესი ბადრი პატარკაციშვილს აქვს საზღვარგარეთ, მის მის მიერ განხორციელებული ასეთი შეხიდების პროგრამა, იმ შემთხვევაშიც თუნდაც არ იყოს პრეზიდენტი, ეს მაკროეკონომიკური თვალსაზრისით იგივეა, რაც ის, რომ, ჩვენ გავზარდოთ ბიუჯეტის დეფიციტი და ბიუჯეტუს დეფიციტის წყაროდ ავიღოთ უცხოური რესურსი, კერძოდ ბადრი პატარკაციშვილის ფული, რაც ინფლაციის ერთ-ერთი წყარო იქნება.

– რატომ გაიღიმა პრემიერ-მინისტრმა, როდესაც თქვენ 40%-იანი ინფლაციაზე მიანიშნეთ?

– ახლა რაც შეეხება ბატონ ლადო გურგენიძის გაღიმებას იმასთან დაკავშირებით, რაც მე ვთქვი. საერთოდ ჩვენ შევეჩვიეთ ბოლო წლებში პრემიერ-მინისტრს, რომელიც არ იღიმებოდა. გურგენიძის მომდიმარი სახე ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ნოემბრის ცნობილი მოვლენების, რომ მთავრობას გაუწენდა მომდიმარი სახე. იმიტომ, რომ მთავრობაში მოდაში იყო დაბლვერა, შედრენა, აგრესია, შეგინება და მე ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ ლადო გურგენიძე იმ ოჯახის შვილია, რომელსაც ღიმილი უფრო შეშვენის. ამიტომ თუ მართლა მას ჩემმა ნათქვამმა ღიმილი მოჰვარა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემს შეხედულებას მის მიმართ. ახლა რაც შეეხება შინაარსს. ის სტატისტიკა, რომელიც დღეს ინფლაციას აფიქსირებს, ეს რომ ტყუილია, ყველამ კარგად ვიცით. ამის საუკეთესო მაგალითი იყო ის, რაც მოხდა 2006 წლის ზაფხულში, როდესაც ივლისის თვის მონაცემით წლიური ინფლაცია დაფიქსირდა 14.5%. სინამდვილეში ალბათ 20%-ზე მეტიც

კი იყო. მაგრამ იმ 14,5%-მა გამოიწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკა. რა გააკეთა მთავრობამ? მოხსნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი, მოიყვანეს ახალი, რომელმაც მიიღო მთავრობის დავალება და წლის ბოლომდე ინფლაცია თანდათანობით 9%-ის დონეზე დაიყვანა. გეპითხებით: თუ ასეთი მეთოდით გაგრძელდება სტატისტიკის დეპარტამენტის საქმიანობა, რა თქმა უნდა ინფლაცია მაღალი არ იქნება. როდესაც მე ვთქვი, რომ ქვეყანა გადარჩება, თუ იფლაციის დონე 40%-ზე მეტი არ იქნება-თქო, ამაში მე მხოლოდ იმას კი არ ვგულისხმობდი, რაც ამ წინასაარჩევნო კამპანიაში ხდება. მე გავითვალისწინე კიდევ მეორე არჩევნებიც, რომელიც 2008 წელს არის მოსალოდნელი. ვინც არ უნდა იყოს საპარლამენტო არჩევნების დროს ქვეყნის პრეზიდენტი, მისი სურვილი იქნება, რომ მისი მხარდამჭერი მაღები, მისი პარტია მოვიდეს ხელისუფლებაში უმრავლესობით. დავუშვათ, გაჩეჩილადე არის ქვეყნის პრეზიდენტი. იმისათვის, რომ კონსტიტუციური ცვლილებები გაატაროს, სჭირდება პარლამენტის მხარდაჭერა. მას ენდომება შენარჩუნებული იყოს იმ 9 პარტიის ერთიანობა, რომელიც დღეს არის და პარლამენტში ისინი მოვიდნენ უმრავლესობით. სააკაშვილს კი ფაქტია უმრავლესობაში ნაციონალური მოძრაობა ენდომება და ა.შ. ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, კიდევ არის საარჩევნო კამპანია ჩასატარებელი, ად ბუნებრივია, აქ იქნება ახალი დაპირებები. პრეზიდენტს ენდომება ამ ახალი დაპირებებით მოიგოს ამომრჩეველტა გულები, რომ უმრავლესობა მოიპოვოს პარლამენტში. შედეგად რა იქნება? ამ ახალი დაპირებების არსრულების ფონზე ხელი შეეწყობა კვლავ ინფლაციას. იმიტომ, რო დაპირებები ისევ სოციალურ კონტექსტში წავა. ამ დროს ფულის დიდი მასა იქნება ბრუნვაში გაშეებული, ლარის კურსი თანდათანობით დაეცემა და ინფლაცია კვლავ მაღალი იქნება. მე ვთქვი ასეთი ფრაზა, რომ თუ 2008 წელს საქაერთველოში ინფლაციამ არ გადააჭარბა 30-40%-ს ჩავთვალოთ, რომ საქართველო გადარჩება. თუ სტატისტიკა დარჩება ისევ მთავრობის შემადგენლობაში და ეს პროცესები გაგრძელდება, მაშინ რაც არ უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკაში, მთავრობა დააფიქსირებს 8%-ს, იმიტომ რომ 2008 წლის ბიუჯეტში ჩასმული სწორედ ეს ციფრი აქვთ.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ ხაზინა ცარიელია. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამის თაობაზე?

- არა, ნამდვილად ეს ას ეარ არის. ხაზინა ცარიელი არ არის, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით. პარლამენტის ბოლო სესიაზე კითხვაც დაგუსვი ფინანსტა მინისტრს, 2007 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული დეფიციტის მოცულობის ათვისებასთან დაკავშირებით. თავიდან როგორც გახსოვთ, გათვალისწინებული იყო დეფიციტი 374 მლნ. ლარი, ხოლო მისი ათვისების მაჩვენებელი სადღაც 50 მლნ. ალარია, ანუ 300 მლნ-ზე მეტი აუთვისებელია. ბოლო სესიაზე როდესაც შევეკითხე ფინანსთა მინისტრს, თუ რას უპირებენ ამ თანხას, მან თქვა, რომ ის 2008 წელს გადავა ნაშთად.
- ითქვა, რომ წინასაარჩევნოდ დარიგებული ფქვილი და ა.შ. ხელისუფლებაშ „პოსლეზე“ ანუ ვალში აიღო...
- ეს ნამდვილად არ ვიცი, შეიძლება ასეთი მეთოდითაც განხორციელდეს, მაგრამ როგორც არ უნდა აიღოს ვალში, ეს გადასახდელი იქნება. ეს არ არის პრობლემა, კარგად გამიგეთ: სულერთია ეს ვისი გადასახდელი იქნება, ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად, ეს მემკვიდრეობა დარჩება.
- არც ისეთი მძიმე იქნება ეს მემკვიდრეობა?
- მემკვიდრეობა საქმაოდ მძიმე იქნება, მე არ მითქვამს, რომ იოლი იქნება. არაერთხელ მითქვამს, რომ ვაუჩერების და ფქვილის დარიგებაც, ეს ხელს უწყობს ინფლაციას. ეს არ არის დამატებით ფულის გამოშვება მიმოქცევაში, მაგრამ ვაუჩერების გამოყენებით სასაქონლო მასა მცირდება, რომელიც მიმოქცევაში არსებობს და უნდა გაიყიდოს. ნაკლებ სასაქონლო მასას, რომ იგივე ფულის მასა დაუპირისპირდება, ადგილი ექნება ინფლაციას.
- რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მის მთავრობას ძალიან ბევრი დატოვებს, ანუ სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს. როგორ ფიქრობსთ, ვინ დატოვებს მინისტრთა კაბინეტს და ვის შეცვლას ურჩევდით პრეზიდენტს?
- ვერაფერს ვურჩევ. ჩემთვის ამ განცხადებას არანაირად დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გეტყვით რატომ. მეც მოვისმინე მისი ეს განცხადება და იქვე მიანიშნა იმ მინისტრებზე, რომლებიც დარჩებიან. კობა სუბელიანზე თქვა,

რომ დარჩებათ, საზოგადოებას ამის საწინააღმდეგო ალბათ არაფერი არ უნდა ჰქონდეს, ლადო გურგენიძეზე თქვა დარჩებათ და მე ეს სულაც არ მიკვირს, რადგან ის ახალი სახეა პოლიტიკაში. ეკა ტყეშელაშვილზე თქვა, ესეც დარჩებათ, ახალი იუსტიციის მინისტრიათ. ლადო გურგენიძე მართლაც ახალია ამ პოლიტიკურ ცხოვებაში და ძალიან ბევრ შეცდომას, რომელსაც ის უშვებს, მისი პოლიტიკური გამოუცდელობით არის განპირობებული. თუმცა არის სერიოზული ეჭვები იმაშიც, თუ რატომ უშვებს ის იმ შეცდომებს, რომელიც მის, როგორც ეკონომისტის პროფესიონალიზმთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენ ვიცით ეკა ტყეშელაშვილი ვინ იყო. ის იყო მოსამრათლე, რა გაუკეთებია, როგორი განაჩენები გამოჰქონდა, ვიცით. ახლა ვხედავთ მის მონაწილეობას ტელედებატებში. როგორი მინისტრიც არ უნდა შეიცვალოს, თუ ტყეშელაშვილი რჩება მთავრობაში, რა იცვლება, გეკითხებით? შეიძლება უფრო ფართო მასშტაბიანი კარუსელი დატრიალდეს. ზოგიერთი პარლამენტის წევრიც შეიძლება გადაყვანილ იქნეს მთავრობაში, ზოგიერთ მინისტრს შეიძლება შეპირდეს, რომ ახალ საპარლამენტო სიაში იქნება. ანუ პრაქტიკულად ის ნაკრები, საიდანაც მან შეიძლება არჩევანი გააკეთოს, სააკაშვილმა ძალიან შეზღუდა. მე არ ვიცი, რატომ არისე ეკა ტყეშელაშვილი უკეთესი, ვიდრე თუნდაც ისეთი მინისტრები, რომლებიც ამ მთავრობაში საზოგადოების გადიზიანებას იწვევენ. ფაქტია, რომ ამ მცირე დროის მონაკვეთში ეკა ტყეშელაშვილმა უკვე საზოგადოების სერიოზული გადიზიანება გამოიწვია.

- საგარაუდოდ ალბათ კახა ბენდუქიძე მინისტრის პორტფელს შეინარჩუნებს.
- როცა ლადო გურგენიძე იძახის, რომ მის გემოვნებაში არის კახა ბენდუქიძე, თვითონ გურგენიძე გამოდის როგორც მოდერნიზებული ბენდუქიძე. ბენდუქიძე ხალხმა შეიძულა მის მიერ გაკეთებული საქმეებით. თუ იგივე საქმეები მომღიმარი სახითა და გინების გარეშე გაკეთდება, ეს რა თქმა უნდა ეთიკის ნორმებში ჩაჯდება, მაგრამ შინაარსობრივად ხომ არაფერი შეიცვლება.

## შორენა კოწოწაშვილი